



კოდექსი
49 წიგნი, რომელიც უნდა
წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ

წიგნი 24

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2014

„კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

„გამომცემლობა პალიტრა L“-მა მკითხველს უკვე შესთავაზა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში პოპულარული პროექტი — „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“. პროექტში შევიდა მკითხველის არჩეული 50 საუკეთესო წიგნი მსოფლიო და ქართული ლიტერატურის საგანძურებიდან. პროექტი წარმოუდგენლად წარმატებული აღმოჩნდა, ყოველი ახალი წიგნის გამოსვლას მოუთმენლად მოელოდნენ...

„50 წიგნის“ შემდეგ „გამომცემლობა პალიტრა L“-მა ყველა დროის წიგნთა წიგნი — „ბიბლია“ გამოსცა, მაგრამ ამით პროექტი არ დასრულებულა. მრავალათასიანი მკითხველის თხოვნით მსოფლიო და ქართული ლიტერატურის საგანძურიდან კიდევ 49 წიგნი შეირჩა. საბოლოოდ, ამ ბიბლიოთეკის სრული კომპლექტი 100 წიგნისგან შედგება და მოიცავს სერიებს: „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“; „ბიბლია — მთავარი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ და „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“.

ეს წიგნიც მსოფლიო ლიტერატურის ამ უნიკალურ ბიბლიოთეკას ეკუთვნის.

Cover image © File licensed by iStockphoto.com/borzywoj

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014

ყველა საავტორო უფლება დაცულია.

ISSN 2298-0849

ISBN 978-9941-21-480-6

მერი შელი

ფრანკენშტაინი

თარგმნა ლელა ზურებიანმა

ივლისის თოვლში დაბადებული

მკითხველო, თქვენ ახლა „უცნაური“ წიგნი გიჭირავთ ხელში. თუმცა, შეიძლება, ეს სიტყვა ბრჭყალებში არც ჩაგვესვა — „ფრანკენშტაინი, ანუ თანამედროვე პრომეთე“ მართლაც ბევრი რამით არის უჩვეულო: ნოვაციით (განსაკუთრებით, მისი შექმნის დროს თუ გავითვალისწინებთ); ავტორისა და თვით წიგნის „თავგადასავლით“ და, რაც მთავარია, იმით, რომ თითქმის საუკუნის თავზე იგი ახალი კინოჟანრის, ხოლო კიდევ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ლამის მთელი „სამხინველბათა ინდუსტრიის“ საწყისად იქცა.

მართლაც აღარავინ დაობს, რომ 1910 წელს მერი შელის რომანის მიხედვით გადაღებული მუნჯი ფილმი დღეს ასე უცნაურად პოპულარული „სამხინველბათა ფილმების“ წინაპარია, რომელთა რაოდენობა აღურიცხავია და მხატვრული დონის სრული არარსებობის მიუხედავად, ამ კინომაკულატურით უზარმაზარ ფულს შოულობენ მისი მწარმოებლები.

იმავს თქმა შეიძლება ასეთივე თანამედროვე ლიტერატურის დიდ ნაწილზე. თითქმის 200 წლის წინ 18 წლის გოგონას მიერ დაწერილი „ლაქტორი ფრანკენშტაინი“ კი, კლასიკად იქცა და დამსახურებულადაც. შესაძლოა, არ გიზიდავდეს მსგავსი სიუჟეტები, შესაძლოა, წიგნში მხოლოდ დადებით ემოციას ეძებდე ადამიანი, მაგრამ მაინც არ შეიძლება „პროფესიონალმა მკითხველმა“ სიამოვნება არ მიიღოს ამ წიგნით — კალმის ოსტატის ბრწყინვალე ნაოსტატარით.

წინასიტყვაობის მცირე ფორმატი მწირი არჩევანის საშუალებას გვაძლევს: ან ნაწარმოებზე უნდა ვთქვათ მეტი, ან მის ავტორზე. ამიტომ ვარჩიე, მერი შელის ცხოვრების გზა გავიხსენოთ, მით უმეტეს, რომ ეს გზა თვითონ არის რომანი — დიდი სიყვარულით, უამრავი სიკვდილით, მოგზაურობებით, გაქცევებით, დიდ ადამიანებთან შეხვედრებითა და ამქვეყნიური საზოგადოებით სავსე...

დასაწყისში ამ წიგნის „უცნაურობა“ ვახსენე. მართლაც, უცნაური თვით ის წელიც იყო შვეიცარიაში, როდესაც „ფრანკენშტაინის“ იდეა დაიბადა — 1816 წელი „ამინდის ისტორიაში“ (ალბათ, სინოპტიკოსები წერენ ასეთ ისტორიას) იმით შევიდა, რომ ივლისში, ვეროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის შვეიცარიაში, თოვლი მოვიდა. შვეიცარიაში თოვლი არც მაშინ უკვირდათ, თუნდაც ივლისში, მაგრამ ალპებში და არა ჟენევის ტბის სანაპიროზე.

ის ზაფხული ლორდმა ჯორჯ გორდონ ბაირონმა და მისმა თანამემამულემ და თანამოკალმემ — პერსი ბიში შელიმ, ფაქტობრივად, სახლის ვერანდაზე გაატარეს, წვიმას უყურებდნენ და საუბრობდნენ. პერსი შელის მაშინ ჯერ კიდევ უკანონო მეუღლე მერი გუდვინი არასოდეს ჩარეულა მათ საუბარში: „მე ამ საუბრების უცვლელი, მაგრამ უტყვი დამსწრე ვიყავი. ერთხელ ისინი სხ-

ვადასხვა ფილოსოფიურ საკითხზე მსჯელობდნენ, მათ შორის, სიცოცხლის ჩასახვის საიდუმლოზე, მის ამოხსნასა და ოდესმე ადამიანის მიერ იმის შეძლებაზე, რომ ჩამქრალი სიცოცხლე აღედგინა.“ — წერდა მერი შელი წლების შემდეგ. დასაძინებლად გვიან წასულან და სწორედ იმ ღამეს უნახავს სიზმრად „საიდუმლო მეცნიერებათა ფერმკრთალი ადეპტი“, რომელიც საკუთარი უმსგავსო ქმნილებისკენ დახრილიყო. მერე ისიც დავინახე, როგორ შეირხა, დაეტყო სიცოცხლის ნიშანი ამ ქმნილებას და მოუხერხებელი მოძრაობებიც დაიწყო...

სიზმრების ახსნა მისტიკოსებს მივანდოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიზმარს მიზეზი ჰქონდა: რამდენიმე დღით ადრე ბაირონს შეუთავაზებია მეგობრებისთვის, — მოდით, ყველამ მოვიფიქროთ და მოვეყვით რაიმე საშინელ ამბავსო.

დიდი პოეტის ამ აზიერებას ორი უკვდავი (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) პერსონაჟის დაბადება მოჰყვა: ფრანკენშტაინისა და ვამპირის. საქმე ის არის, რომ ამ „თამაშში“ მონაწილეობა ბაირონის მღვანამა და პირადმა ექიმმა, ჯონ პოლიდორიმაც მიიღო და მალე მანაც გამოაქვეყნა რომანი — „ვამპირი“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

...ყველაფერი კი ლონდონში დაიწყო: ლიტერატურულ წრეებში ცნობილ, მაგრამ მიზეზთა გამო ათვალწუნებულ და ნახევრად მიფიცვებულ კაცს — უილიამ გუდვინს იმ დროისთვის უკვე ცნობილი, მაგრამ საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახისგანაც ასევე შერისხული ახალგაზრდა პოეტი პერსი შელი ქვია. საქმე ის იყო, რომ ამ შტებდრამდე ცოტა ხნით ადრე შელი გათავხედდა და გამოსცა ბროშურა სათაურით: „ათეიზმის აუცილებლობა“, რის გამოც ოქსფორდის უნივერსიტეტიდან გარიცხეს. სამი თუ ოთხი წლით ადრე კი, სრულიად ახალგაზრდამ, მაგანი მედუქნის ქალიშვილი შეირთო ცოლად და ეს იმით ახსნა, რომ მისი დახსნა უნდოდა ტირანი მამისგან. თუმცა, მხოლოდ ეს არ იქნებოდა მიზეზი — ჰარიეტი ძალიან ლამაზიც ყოფილა. მაგრამ მზეთუნახავიც რომ ყოფილიყო, შელის დიდგვაროვანი ოჯახი „მედუქნის გოგოს“ რძლად არ იგუებდა და ასეც მოხდა.

ასე იყო თუ ისე, როდესაც 1813 წელს შელი გუდვინს ქვია და იქ მისი 16 წლის, მეოცნებე თვალებით მოშხირალი ქალიშვილი გაიცნო, მალევე შეუყვარდა და მისგან — ორი შვილის მამისა და ოჯახზე მზრუნველი კაცისგან, მხოლოდ 22 წლის „ბიჭი“ დარჩა. შეყვარებულები ინგლისიდან კონტინენტზე გაიპარნენ და ამით მერის მამის სახლისკენაც მოიჭრეს გზა, იმის მიუხედავად, რომ შელი ძალიან უყვარდა უილიამ გუდვინს და ხშირად არცთუ უანგაროდ.

მოძვეალი მწერალი ქალის ცხოვრება უდავოდ ცალკე რომანის სიუჟეტია (და არის კიდევ ასეთი წიგნი) — თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მან ყველაფერის ნახვა მოასწრო. მუდმივად ცუდ პირობებში ყოფნამ, ალბათ, გა-

მოუცდებლობამაც, პირველი შვილის დაბადებისთანავე გარდაცვალება გამოიწვია. სიკვდილსა და გაჭირვებას მანამდეც „ახლოს იცნობდა“ მერი — დედამისი, იმ დროისათვის ცნობილი მწერალი მის დაბადებას შწირვია. დედა, უფრო სწორად, უნახავი დედის ხატება ყოველთვის იდეალად ჰყვოდა დასახული. მამამ მეორე ცოლი მალევე შეერთო, იმას თან საკუთარი შვილებიც მოჰყვა, შემდეგ საერთო შვილიც გაუჩნდათ. ოჯახში მთავარი პრობლემა მუდმივად საკვების უკმარისობა იყო და ამიტომ საჭმელზე საუბარი სასტიკად აკრძალა მისტერ გუდვინმა. ერთი სიტყვით, მიუხედავად მაშინდელი პურიტანული საზოგადოებრივი განწყობისა, მერის დიდად არ გაჭირვებია თამამი ნაბიჯის გადადგმა — ცოლიან კაცთან ერთად გაქცევა. უფრო მეტიც — მათ შვეიცარიაში მალე მერის დედინაცვლის ქალიშვილი, კლერიც, შეუერთდათ, რომელიც შემდეგ ბაირონის საყვარელი გახდა და შვილიც გააჩინა მისგან.

მალე მეორე შვილი, გოგონა, შეეძინა მერის, შემდეგ — ვაჟიც. ლონდონში სასოწარკვეთილმა „მედუქნის შვილმა“ თუმხაში დაიხრჩო თავი და იმის მიუხედავად, რომ მერისა და პერსის მართლაც ქენჯინიდათ ამის გამო სინდისი, მათ საშუალება მიეცათ, ოფიციალურად დაქორწინებულიყვნენ და მერი უკვე მისის მერი შელი გახდა.

თითქოს ლაგდებოდა ცხოვრება, პერსი უკვე დიდ პოეტად აღიარეს, მერის რომანიც პოპულარული გახდა, მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო უბედურებათა მთელი კასკადი: პერსის სასამართლომ პირველ ცოლთან საერთო შვილების ნახვა აუკრძალა, არადა, მათ წამოყვანას და აღზრდას აპირებდნენ; შემდეგ თავიანთი ქალ-ვაჟი გარდაეცვალათ. მალე კიდევ ეყოლათ პატარა, მაგრამ სიხარულის გასივრცელებაც არ დასცალდა მერის — პერსი შელი ორ მეგობართან ერთად იახტის ჩაძირვას შეეწირა ხმელთაშუა ზღვაში.

ამ ტრაგედიებს შორის იყო დიდი სიყვარულით საესე რვა წელი და ამ სიყვარულის შემდეგ თითქმის 30 წელი მოგონებებით ცხოვრება: მერი შელი თვითონვე ამბობდა, რომ დანარჩენი წლები, თუკი რამეს წერდა, ან სხვის ნაწერებს არუდაქტირებდა, ერთადერთი მიზნით — ნაბოლარა ვაჟს, მშობლებივით, არასოდეს ეფიქრა ლუკმა-პურზე.

„უცნაურობით“ დავიწყეთ და ამითვე დაფასრულოთ ძალიან რომანტიკული, ძალიან ახალგაზრდა, ძალიან ჭკვიანი და ძალიან ლამაზი მწერალი ქალი მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი პერსონაჟით შევიდა.

ზვიად დოლიძე

პირველი წერილი

ინგლისში, მისის სკვილს

სანქტ-პეტერბურგი, 11 დეკემბერი, 17.. წელი.

აღბათ გაგიხარდება, როცა გაიგებ, რომ წამოწყება, რომელსაც მეტიმეტად აღმაცერად უყურებდი და ავბედით წინათგრძნობებსაც აღგიძრავდა, სავსებით კეთილსასურველად დაიწყო. აქ გუშინ ჩამოვედი და, პირველ რიგში, მსურს, ჩემი საყვარელი დაიკო დავარწმუნო, რომ ყველაფერი რიგზეა და სულ უფრო მეტად ვრწმუნდები ჩემი საქმის იღბლიან განვითარებაში.

ლონდონიდან უკვე საკმაოდ შორს ვარ, ჩრდილოეთით, პეტერბურგის ქუჩებში მოხეტიალე, ჩრდილოეთის ცოვ ქარს ვგრძნობ სახეზე, რომელიც მაფხიზლებს და მახარებს. ნეტავ გაიგებ ჩემს განცდებს? იმ მხარეებიდან მონაბერი ქარი, საითაც მე მივიწვრავი, უკვე მანიჭებს მათი გამყინავი სივრცეებით ტკბობის სიხარულს. აღთქმული მიწიდან მოქროლილი ამ ქარაშოტების ზუზუნში ჩემი ოცნებები სულ უფრო ცოცხალი და მგზნებარე მეჩვენება. ამოდ ვცდილობ დავარწმუნო საკუთარი თავი, რომ პოლუსი სიცივისა და სიკვდილის სამყოფელია. ჩემს წარმოსახვაში ის სილამაზისა და სიხალისის სამეფოდ წარმოდგება.

იქ, მარგარეტ, მზე არასდროს ჩადის. მისი დისკო, ჰორიზონტის თავზე ოდნავ ამოწვერილი, მარადიულ ნათებას ასხივებს. იქ — თუ ნებას დამრთავ, ცოტათი მაინც ვენდო ყოვლისმნახველ ზღვაოსნებს — მთავრდება ყინულისა და თოვლის ძალაუფლება და წყნარი ზღვის ტალღებზე შეიძლება მიაღწიო ქვეყანას, მშვენივითა და საოცრებით აქამდე ადამიანის მიერ აღმოჩენილ ყველა სხვა ქვეყანაზე უკეთესს. ამ ამოუცნობი და ჯერაც უხილავი მხარის ბუნება და სიმდიდრეები შეიძლება ისეთივე უცხო აღმოჩნდეს, როგორც იქ დანახული

ციური მოვლენები. რას აღარ უნდა ელოდო მარადიული სინათლის ქვეყნისგან! იქ შევძლებ საუცხოო ძალის საიდუმლოს ახსნას, რომელიც თავისკენ იზიდავს ანდამატის ისარს, ასევე მრავალი ასტრონომიული დაკვირვების შემოწმებას. ერთი ასეთი მოგზაურობა საკმარისია, რომ მათმა მოჩვენებითმა წინააღმდეგობრიობებმა ერთხელ და სამუდამოდ მიიღონ გონივრული ახსნა. შევძლებ დავიკამაყოფილო დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობა ჯერაც უხილავი მხარეების ცქერით და იმ მიწაზე გავიარო, რომელსაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შეხებია. აი, რა მიზიდავს, ისე, რომ ხიფათისა და სიკვდილის წინაშე შიშსაც კი მითრგუნავს, და რთული გზის დაწყების წინ იმ ალტაცებით მავსებს, რომლითაც პატარა ბავშვი თანატოლებთან ერთად მშობლიურ მდინარეზე ნავით მიცურავს, თვალწვედენელი სამყაროს აღმოსაჩენად. მაგრამ ჩემი ეს მოლოდინი რომც არ გამართლდეს, შენ ვერ უარყოფ, რომ კაცობრიობას შეუფასებელ სამსახურს გავუწევ, თუნდაც თუ ჩრდილოეთის გზას გავკვალავ იმ მხარეებისკენ, სადაც ახლა მრავალთვიანი ცურვაა საჭირო, ან აღმოვაჩენ მაგნიტის საიდუმლოს, — რადგანაც თუ საერთოდ არის შესაძლებელი მისი აღმოჩენა, მხოლოდ მსგავსი მოგზაურობის მეშვეობით.

ამ ფიქრებმა ის ერთგვარი მღელვარება და შფოთვა გამიფანტეს, რომლითაც დავიწყე შენთვის წერილის დაწერა და გული ამიჩქროლეს, რადგან არაფერი ისე არ ამშვიდებს სულს, როგორც მტკიცე მიზნის პოვნა — წერტილის, რომლისკენაც არის მიმართული ჩვენი შინაგანი მზერა.

ეს ექსპედიცია ჩემი სიჭაბუკის ოცნება იყო. ხარბად ვეწაფებოდი წიგნებს მოგზაურობების შესახებ, რომლებიც პოლარულ ზღვებში წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის მიღწევას ისახავდა მიზნად. ალბათ გახსოვს, რომ მოგზაურობებისა და აღმოჩენების შესახებ წიგნებით იყო სავსე ჩვენი კუთილი ბიძია თომასის ბიბლიოთეკა. ჩემი განათლებით არაუარს უფილა დაკავებული, მაგრამ ადრინადად გამიტაცა კითხვამ. ამ ტომეულებს დღე და ღამე შევეისწავლიდი და სულ უფრო მეტად მიპყრობდა სინანული იმის გამო, რომ მაძაჩემმა, როგორც მოგვიანებით ჯერ კიდევ ბავშვმა გავიგე, სიკვდილის წინ მკაცრად აუკრძალა ბიძაჩემს ზღვაში ჩემი გაშვება.

ზღვაზე ოცნებები ოდნავ გაფერმკრთალდა, როცა პირველად გავცვანი პროტების ქმნილებებს, ჩემი სული რომ აღაფრთოვანეს და

ზეცისკენ აიტაცეს. თვითონაც პოეტად ვიქეცი და მთელი წელი იმ ედემში ვიცხოვრე, ჩემმა ფანტაზიებმა რომ შექმნეს. წარმოიდგინე, რომ მეც მელოდა ადგილი იმ ტაძარში, რომელიც ჰომეროსსა და შექსპირს ეძღვნებოდა. შენთვის ცნობილია ჩემი წარუმატებლობა და ის, თუ როგორ მძიმედ გადავიტანე ეს იმედგაცრუება. მაგრამ სწორედ იმ დროს მერგო ჩვენი ბიძაშვილის ანდერძი და ფიქრები კვლავ ბავშვობის ოცნებებისკენ მიემართე.

უკვე ექვსი წელია ვფიქრობ ამ წამოწყებაზე, რომელსაც ამჟამად შევდგომივარ. დღემდე მახსოვს ის წუთი, როცა გადავწყვიტე, საკუთარი თავი ამ დიადი მიზნისთვის მიმეძღვნა. პირველ რიგში საკუთარი თავის წრთობას შევეუდექი. ჩრდილოეთ ზღვებში ვეშაპებზე მონადირეებს ვახლდი თან, სიცოცხეს, შიმშილს, წყურვილსა და უძილობას ვუშვერდი მკერდს. დღისით მეზღვაურებზე მეტს ვმუშაობდი, ღამღამობით კი მათემატიკას, მედიცინასა და ფიზიკური მეცნიერებების იმ სფეროებს ვსწავლობდი, რომლებიც ყველაზე მეტად შეიძლება გამოადგეს ზღვაოსანს. ორჯერ ვიმსახურე საუკურო გემის კაპიტნის თანაშემწედ გრენლანდიის ვეშაპთსაჭერ ხომალდზე და შესანიშნავად ვუძღვებოდი საქმეს. უნდა ვაღიარო, რომ სიამაყით აღვვსე, როცა კაპიტანმა თავისი პირველი თანაშემწის ადგილი შემომთავაზა და დიდხანს მარწმუნებდა, დავთანხმებოდი, იმდენად დიდად აფასებდა ჩემს სამსახურს.

ახლა კი მითხარი, საყვარელო მარგარეტ, ნუთუ არ ვარ ღირსი, რაღაც დიდებული ჩავიდინო? ჩემი ცხოვრება შეიძლებოდა, განცხრომასა და ფუფუნებაში გამეტარებინა, მაგრამ სიმდიდრის ყველა ცდუნებას სახელის მოხვეჭა ვარჩიე. ო, ნეტავ ვინმე მყავდეს წამქეზებელი! ჩემი სიამაყე და მიღებული გადაწყვეტილებები ურყევია, მაგრამ იმედი და მხნეობა დროდადრო მღალატობენ. ხანგრძლივ, შორეულ და რთულ მგზავრობაში მივეშურები, სადაც მთელი ჩემი გამძლეობა დამჭირდება. არა მხოლოდ სხვების გამხნეება მომიწევს, არამედ ხანდახან საკუთარი თავისაც, როცა ყველა დანარჩენი სულით დაეცემა.

ახლა წელიწადის საუკეთესო დროა რუსეთში სამოგზაუროდ. აქაური მარხილები სწრაფად დაქრიან თოვლზე, გადაადგილების ეს საშუალება სასიამოვნოა და, ჩემი აზრით, ინგლისურ საფოსტო ეტლზე უფრო მოსახერხებელიც. სიცოცხე არ არის საშიში, თუ ბევრ-

ში ხარ გახვეული. ასეთი სამოსი უკვე მოვირგე, რადგან გემბანზე სიარული სულაც არ არის ის, რაც ადგილზე ჯდომა, სისხლი რომ უმოძრაობით ცოდება. ნამდვილად არ ვაპირებ გაყინვას პეტერბურგსა და არხანგელსკს¹ შორის გაყვანილ საფოსტო გზაზე.

ჩემ მიერ ბოლოს დასახელებულ ქალაქში მიემართები სწორედ ორი-სამი კვირის შემდეგ. იქ ვფიქრობ გემის დაქირავებას, ეს კი იოლი გასაკეთებელია, თუ მფლობელს სადაზღვევო თანხას გადაუხდის. ასევე მინდა, საჭირო რაოდენობის მეზღვაურები ვიქირაო მათგან, ვისაც ვეშაპებზე ნადირობის დროიდან ვიცნობ. ვფიქრობ, რომ ოწინსზე ადრე არ გაგალ ზღვაში, ხოლო როდის დაებრუნდები? ო, საყვარელო დაიკო, რა უნდა გიპასუხო ამაზე? წარმატების შემთხვევაში, მრავალი თვე ვერ ვნახავთ ერთმანეთს, ან შესაძლოა, წელიწადიც კი. მარცხის შემთხვევაში კი, ძალიან მალე მნახავ — ან ვეღარ მიხილავ ვერასდროს.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო, კეთილო მარგარეტ. ღმერთმა დაგლოცოს და დაიფაროს ჩემი ცხოვრება, რათა კიდევ ერთხელ შევძლო მადლიერების გამოხატვა შენი სიყვარულისა და ზრუნვისათვის.

შენი მოსიყვარულე ძმა.

რ. უოლტონი.

¹არხანგელსკი — ქალაქი რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

მეორე წერილი

ინგლისში, მისის სკვილს

არხანგელსკი, 28 მარტი, 17.. წელი

რა საშინლად იწვლება დრო მისთვის, ვინც სიცოცხითა და ყინვით არის შეპოჭილი! თუმცაღა ჩემი მიზნისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი. გემი ვიქირავე და მეზღვაურებს ვკრებ. ვინც უკვე ავიყვანე, საიმედო ადამიანებად მეჩვენებიან და რასაკვირველია, მამაცებადაც.

ერთადერთი რამ მაკლია — ყოველთვის მაკლდა, მაგრამ ახლა ამის ნაკლებობას უდიდეს ბოროტებად მივიჩნევ. მე არ მყავს მეგობარი, მარგარეტ, არაუინ, ვისაც გაუზიარებდი სიხარულს, თუ წარმატების ბედნიერება მეღის წინ, არაუინ, ვინც მხარში დამიდგებოდა, თუ სულით დავეცემი. მართალია, ჩემს ფიქრებს ქალაქს ვანდობ, მაგრამ ის ნაკლებად გამოსადეგია გრძნობების გადასაცემად. ადამიანთა საზოგადოება მჭირდება, რომელიც თანამიგრძნობდა და სიტყვის უთქმელად გამიგებდა. შეგიძლია მეტისმეტად მგრძნობიარე ადამიანად ჩამთვალო, საყვარელო დაო, მაგრამ საშინლად განვიცდი ამგვარი მეგობრის არარსებობას. ჩემ გვერდით არაუინ არის მგრძნობიარე და იმავედროულად უშიშარი სულის, გონებაგამჭრიახი და წარმოსახვის უნარის მქონე, არ არის მეგობარი, რომელიც გაიზიარებდა ჩემს მისწრაფებებს, მოიწონებდა ჩემს გეგმებს ან თავის შესწორებებს შეიტანდა მათში. რამდენ რამეს გააკეთებდა ასეთი მეგობარი შენი საბრალო ძმის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად! ხშირად ნაჩქარევად ვმოქმედებ და საკმაოდ მოუთმენელი ვარ წინააღმდეგობების პირისპირ. მაგრამ კიდევ უფრო დიდი ბოროტება ის არის, რომ თვითნასწავლი ვარ, ჩემი ცხოვრების პირველი თოთხმეტი წელი მინდორ-ველებში დავნაურადობდი და მხოლოდ მოგზაურობის შესახებ კკითხულობდი წიგნებს ჩვენი ბიძია თომასის ბიბლიოთეკიდან. იმ

ასაკში გავეცანი ჩემი ქვეყნის განთქმულ პოეტებს, თუმცა საკმაოდ გვიან დაერწმუნდი იმის აუცილებლობაში, რომ მშობლიურის გარდა სხვა ენებიც უნდა მცოდნოდა, — მაშინ უკვე ამ რწმენას არავითარი ჭეშმარიტი სარგებლის მოტანა აღარ შეეძლო.

ახლა ოცდარვა წლის ვარ, არადა, ბევრ თხუთმეტი წლის მოწაფეზე უფრო უწიგნური. თუმცაღა, მათზე მეტი მიფიქრია და მეტად ვოცნებობ, მაგრამ ამ ოცნებებს ის აკლია, რასაც მხატვრები „თანაფარდობას“ უწოდებენ და ძალიან მჭირდება მეგობარი, საკმარისად გონიერი, რომ არ ვძულდე, როგორც თავცარიელი მეოცნებე და საკმაოდ მოსიყვარულე, რომ მიხელმძღვანელოს.

თუმცა ეს ჩივილი ფუჭია, რა მეგობარი უნდა შევიძინო ოკეანის უკიდევანო სივრცეებში ან თუნდაც აქ, არხანგელსკში, ვაჭრებსა და მეზღვაურებს შორის? თუმცაღა მათთვისაც, მთელი მათი გარეგნული სიუხემის მიუხედავად, კეთილშობილური განცდები უცხო როდია. ჩემი თანაშემწე, მაგალითად, საუცხოოდ შეუპოვარი და ფხიანი ადამიანია, უზომოდ სწყურია დიდება, ან უფრო სწორი იქნება, ვთქვა, თავის საქმეში ესწრაფვის-მეთქი წარმატებას. ინგლისელია და თავისი ეროვნების თუ ხელობისთვის დამახასიათებელი ცრურწმენების გათვალისწინებით, რომლებიც განათლებამაც ვერ შეურბილა, არც ისე ცოტა კეთილშობილური თვისება აქვს შენარჩუნებული. პირველად მას ვეშაპისაჭერი ხომალდის ბორტზე შევხვდი, გავიგე, რომ ახლა სამუშაო არ ჰქონია და იოლად გადმოვიბირე ჩემს წამოწყებაში მონაწილეობის მისაღებად.

კაპიტანიც შესანიშნავი ადამიანია, ყველასგან გამოირჩევა თავისი სიმსუბუქითა და უდარდელი ურთიერთობებით. უშიშრობასა და საოცარ პატიოსნებასთან შეზავებული სწორედ ამ თვისებებით მიმიზიდა. ჩემმა სიყმაწვილემ, განმარტობაში გაღეულმა ჩემმა საუკეთესო წლებმა, რომლებიც შენი ნაზი ქალური მეურვეობის ქვეშ გავატარე, იმდენად შეარბილა ჩემი ხასიათი, რომ გადაულახავ ზიზღს განვიცდი უხეშობის მიმართ, რომელიც ხომალდებზეა გამეფებული. არასდროს მიმაჩნდა სიტლანქე აუცილებლობად. როგორც კი შევიტყვე მეზღვაურის შესახებ, რომელიც განთქმული იყო როგორც თავისი გულკეთილობით, ასევე უნართ, საკუთარი თავისადმი პატივისცემით განემსჭვალა ადამიანები და იოლადაც დაყოლიებინა, დიდ იღბლად მივიჩნიე მისი მოპოება. პირველად მის შესახებ საკ-

მაოდ რომანტიკულ გარემოებაში შევიტყვე, ქალისგან, რომელიც თავის ბედნიერებას მას უნდა უმაღლოდეს. მოკლედ გაიმბობ მის ამბავს:

რამდენიმე წლის წინ რუსი გოგონა შეჰყვარებია, ღარიბი ოჯახიდან. როცა ცოტა ფულს მოუყარა თავი, გოგონას მამა მათ ქორწინებას დათანხმდა. ქორწილამდე საცოლეს შეხვდა, მაგრამ ის ფეხებში ჩაუვარდა და ტირილით სთხოვა შებრალება, გულწრფელად გაუმხილა, რომ სხვა შეჰყვარებოდა, ის სხვა კი ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ მამა არასდროს დათანხმდებოდა მასთან ქორწინებას. ჩემმა საოცარმა მეგობარმა გოგონა დაამშვიდა, საყვარელი ქალის სახელზე იზრუნა და თავის უფლებებზე უარი თქვა. მოგროვილი ფულით უკვე მოესწრო სახლისა და ნაკვეთის ყიდვა, სადაც სამუდამოდ აპირებდა დასახლებას — ეს ყველაფერი, მცირეოდენ ფულთან ერთად, თავის მეტოქეს გადასცა, თვითონ კი სასიამოროს სთხოვა, საყვარელ მამაკაცზე ქალიშვილის დაქორწინებისთვის ხელი არ შეეშალა. მამამ უარი უთხრა, მიაჩნდა, რომ უკვე ჩემი მეგობრისთვის ჰქონდა პირობა მიცემული. მაშინ, რაკი მოხუცის სიკერაპეს გადააწყდა, იმ მხარიდან წავიდა და მანამ არ დაბრუნებულა, სანამ გოგონა თავის რჩეულს არ გაჰყვა. „რა კეთილშობილებაა!“ — აღბათ წამოიძახებ. ჰო, სწორედ ასეთია, მაგრამ, იმავედროულად, სრულიად გაუნათლებელი, მდუმარე და მოსაწყენიც, რაც, რასაკვირველია, მის საქციელს კიდევ უფრო საოცარს ხდის, მაგრამ იმ ინტერესსა და თანაგრძობას კი ამცირებს, რაც ამ ადამიანს შეეძლო გამოეწვია.

მაგრამ თუ ხანდახან ვჩივი და მეგობრულ თანადგომაზე ვოცნებობ, რომელიც აღბათ არ მიწერია, არ იფიქრო, რომ ჩემს გადაწყვეტილებაში ვმერყეობდე. ის უცვლელია, როგორც თვით ბედი, და გაცურვა მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ ამინდმა გვაიძულა, ასე მოვქცეულიყავით. იშვიათად სუსხიანი ზამთარი იდგა, თუმცა ამბობენ, თბილი და ადრიანი გაზაფხული იქნებაო. ასე რომ, შესაძლოა, უფრო ადრეც კი დაჟაღგე გზას, ვიდრე ვვარაუდობდი. არ მსურს რაიმე უგუნური ნაბიჯი გადავდგა. შენ საკმარისად მიცნობ, რომ დარწმუნებული იყო ჩემს სიფრთხილემი, როცა სხვათა უსაფრთხოებაზე ვარ პასუხისმგებელი.

ვერ აღვიწერ ჩემს განცდას, რომლითაც ასე ველი მოსალოდნელ გამგზავრებას. შეუძლებელია იმ სათუთი განცდის სიტყვებით

გამოთქმა, მხიარულისა და იმავდროულად მშფოთვარესი, რითაც ვემზადები სამოგზაუროდ. შეუცნობელი მიწებისკენ მივემართები, „ნისლებისა და თოვლის მხარეში“, თუმცა არ ვაპირებ ალბატროსის მოკვლას, ამიტომ ჩემ გამო ნუ შეგეშინდება — არ დაგიბრუნდები დამტყვევული და ავადმყოფი, როგორც „მოხუცი ზღვაოსანი“¹. ამ ალუზიაზე ალბათ გაგეღიმება, მაგრამ ერთ საიდუმლოს გაგიმხელ. ჩემს დაუოკებელ ლტოლვას ოკეანის საზიფათო საიდუმლოებებისკენ ხშირად მივაწერ თანამედროვე პოეტთა შორის ყველაზე პოეტურის სწორედ ამ ქმნილებას. ჩემს სულში ცხოვრობს რაღაც, ჩემთვისვე აუხსნელი. პრაქტიკული და შრომისმოყვარე ვარ, ბეჯითი და მომთმენი მუშა. მაგრამ, ამასთან ერთად, ყველა ჩემს გეგმაში ჩაქსოვილია სასწაულის სიყვარული და სასწაულის რწმენა, რომელიც გათელილი გზებისგან შორს მიმერეკება, უხილავი ზღვებისკენ, ჯერარადმოჩენილი ქვეყნებისკენ, რომელთა გამოკვლევასაც ვგეგმა.

თუმცაღა დაუბრუნდები გულთან უფრო ახლოს მყოფ რამეებს. გნახავ თუ არა კიდევ, როცა უნაპირო ზღვებს გადაგკვეთ და დავბრუნდები უკან, აფრიკის ან სამხრეთი ამერიკის მწვერვალებიდან? ვერ გავბედავ ასეთი იღბლის იმედი მქონდეს, თუმცა არც სხვა რამეზე მსურს ფიქრი. ნებისმიერი შესაძლებლობის დროს მომწერე. შეიძლება, შენმა რომელიმე წერილმა ჩემამდე სწორედ მაშინ მოაღწიოს, როცა ყველაზე საჭირო იქნება და ჩემს სიამამაცეს ამოუდგება მხარში. ნახად მიყვარხარ. გამიხსენე სიყვარულით, თუ ჩემ შესახებ ვეღარაფერს გაიგონებ.

შენი მოსიყვარულე ძმა.

რობერტ უოლტონი.

¹ „მოხუცი ზღვაოსანი“, — სემუელ ტეილორ კოლრიჯის პოემა.

მესამე წერილი

ინგლისში, მისის სკვილს

7 ივლისი, 17.. წელი
ძვირფასო დაო!

გწერ ამ ნაჩქარევ სტრიქონებს, რათა გამცნო, რომ არც ისე მცირე გზის გადალახვის შემდეგ ჯანმრთელი ვარ. ეს წერილი ინგლისში საუაჭრო ხომალდით ჩამოვა, რომელიც ახლა გადის არხანგელსკიდან. ხომალდი ჩემზე ბედნიერია, მე ხომ შესაძლოა მრავალი წელი ვერ ვიხილო მშობლიური ნაპირები. მაინც მხნედ ვარ, ჩემი ხალხი მედგარი და მტკიცეა, მათ არ აშინებთ მცურავი ყინულები, ბორტს მიღმა რომ ჩნდებიან მოსალოდნელი ხიფათის მაცნებად. უკვე საკმაოდ შორს გავედით, მაგრამ ახლა გაგანია ზაფხულია და სამხრეთის ქარები, რომლებიც სწრაფად მიგვაქანებენ ჩემთვის სანუკვარი ნაპირებისკენ, მართალია, ნაკლებად თბილია, ვიდრე ინგლისში, მაგრამ მაინც ისეთ სითბოს ჰფენს გარემოს, აქ რომ არ კელოდი.

ჯერ ჩვენს თავს ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, რომ მოსაწერად ღირდეს. ერთი-ორი გრიგალი — ეს ისეთი რამაა, რაც გამოცდილი მეზღვაურების მეხსიერებაში არ რჩება. მოხარული ვიქნები, თუ ამაზე უარესი არაფერი დაგვემართება.

ნახვამდის, საყვარელო მარგარეტ. გჯეროდეს, რომ შენ გამო და საკუთარი თავის გამო უგუნურად არ გადავეშვები ხიფათში. ცივისსხლიანი ვიქნები, შეუპოვარი და კეთილგონიერი.

მაგრამ მაინც მივალწევ წარმატებას. რატომაც არა? უკვე ვიკვალავ გზას ამოუცნობ ოკეანეში, თვით ვარსკვლავები არიან ჩემი ტრიუმფის მოწმეები. რატომაც არ უნდა წავიდე უფრო შორს, მოურჯულებელი, თუმცაღა დამჯერი სტიქიის სიღრმეში? რა

შეიძლება გადაეღობოს გზაზე ადამიანის ნებისყოფასა და ვაჟკაცობას?

ის გრძნობები, რომლებიც მავსებს, უნებურად გარეთ გადმოედინება, თუშცა ღროა, დაგასრულო. ზეცამ დალოცოს ჩემი საყვარელი დაიკო!

რ.უ.

მეოთხე წერილი

ინგლისში, მისის სკვილს

5 აგვისტო, 17.. წელი

ჩვენ რაღაც ისეთი უჩვეულო შეგვემთხვა, აუცილებლად უნდა მოგწერო, თუმცაღა შეიძლება უფრო ადრეც კი შევხვდეთ ერთმანეთს, ვიდრე ამ წერილს მიიღებ.

გასულ ორშაბათს (31 ივლისს) ყინულის საბრძანებელში გავედით, რომელიც თითქმის მთლიანად აღიმართა გემის გარშემო და სულ პაწაწინა თავისუფალი ადგილი დატოვა გასასვლელად. საკმაოდ სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა, განსაკუთრებით სქელი ბურუსის გამო. ამიტომაც დრეიფზე გავჩერდით, ამინდის შეცვლის იმედით.

დაახლოებით დღის ორი საათისთვის ნისლი გაიფანტა და ირგვლივ გადაჭიმული არათანაბარი ყინულის ვრცელი ველები დაინახეთ, რომელთაც თითქოს ბოლო არ უჩანდა. ჩემს ზოგიერთ თანამგზავრს კენესა აღმოხდა, მეც შევშფოთდი, მაგრამ უცებ ჩვენი ყურადღება უცნაურმა სანახაობამ მიიპყრო, რომელმაც სულ მიგვავიწყა ჩვენი მდგომარეობა. ჩვენგან დაახლოებით ერთ კილომეტრში დაბალი მარხილი დავლანდეთ, ძაღლებშებმული, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიექანებოდა. მარხილში ადამიანის მსგავსი არსება იჯდა, მაგრამ გიგანტური ზომის. ჭოგრიტებით შევყურებდით მარხილის სწრაფ ქროლას, სანამ ყინულის გორაკებს მიღმა არ გაუჩინარდა.

ამ სანახაობამ გაგვაოგნა. მანამდე ვვარაუდობდით, რომ ხმელეთისგან მრავალი ასეული კილომეტრი გვაშორებდა, მაგრამ ნანახი იმას ადასტურებდა, რომ მიწა არც ისე შორს უნდა ყოფილიყო. ყინულით შეპყრობილნი მარხილს ვერ დავედევნებოდით, თუმცა ყურადღებით კი შევათვალიერეთ.

ამ მოვლენიდან დაახლოებით ორ საათში ტალღების ხმაური შემოგვესმა. ღამისთვის ყინული გაიფანტა და გემი გათავისუფლდა. თუმცა დრეიფტზე დილაძღვე ვიდექით, სიბნელეში უშველებელ მცურავ ლოდებთან შეჯახების გვეშინოდა, რომლებიც ყინულის გახსნის შემდეგ ჩნდება ხოლმე. მე ამ საათებით ვისარგებლე, რომ დამესვენა.

ალიონზე გემბანზე ავედი და დავინახე, რომ ყველა მუზღვაური ბორტთან შეჯგუფებულიყო, ჩანდა, ვიდაცას ელაპარაკებოდნენ, ვინც ზღვაში იმყოფებოდა. როგორც აღმოჩნდა, გემთან, დიდი ყინულის ლოდით, მარხილი მოცურებულიყო, ჩვენ მიერ წინა დღით ნანახის მსგავსი, ერთადერთი გადარჩენილი ძაღლით. მარხილში კაციც იჯდა და მუზღვაურები არწმუნებდნენ, ბორტზე ამოდიო. სულაც არ ყოფილა რომელიღაც უცნობი კუნძულის ბინადარი, როგორც ერთი შეხედვით მოგვეჩვენა; ის ევროპელი იყო. როცა გემბანზე გავედი, ბოცმანმა¹ შესძახა: „აი, ჩვენი კაპიტანი მოდის და ის არ დაუშვებს, რომ თქვენ ზღვაში დაიღუპოთ“.

ჩემს დანახვაზე უცნობმა ინგლისურად მომმართა, თუმცა უცხოური აქცენტით: „სანამ თქვენს გემზე ამოვალ, იქნებ მანამდე მამცნოთ, საით გაგიწვიათ“.

აღბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის ჩემი გაოცება, როცა მსგავსი შეკითხვა გავიგონე მომაკვდავისგან, რომელსაც ჩემი ზომალდი, წესით, მაშველ რგოლად უნდა მიეჩნია, ყველაზე ძვირფას საუნჯედ სამყაროში. თუმცა ვუპასუხე, მკვლევრები ვართ და ჩრდილოეთი პოლუსისკენ მივეშურებით-მეთქი.

ჩანდა, ამან დააკმაყოფილა და ბორტზე ამოსვლას დათანხმდა. ღმერთო დიდებული! მარგარეტ, შენ რომ გენახა ის კაცი, რომლის დარწმუნებაც მოგვიხდა, შენს გაოცებას საზღვარი არ ექნებოდა. საშინლად იყო გაყინული და დაღლილობისა და ხეტიალისგან გათანგული. არასდროს მინახავს ასეთ უბადრუკ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. თავდაპირველად კაიუტაში შევიყვანეთ, მაგრამ სუფთა ჰაერს როგორც კი მოსცილდა, მაშინვე გონება დაკარგა. ამიტომ ისევ გემბანზე გამოვიყვანეთ და კონიაკით გამოვაფხიზლეთ — რამდენიმე ყლოები ჩავასხით პირში. როგორც კი სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტ-

¹ ბოცმანი — უმცროსი მეთაური (ზემდევი), რომელსაც ევალემა გემზე წესრიგის დამყარება და სისუფთავის დაცვა, საზომალდო სამუშაოების ხელმძღვანელობა და სხვა.

ყო, საბანში შეეფუთნეთ და სამზარეულოს მილთან მივსვით. თანდათან გონს მოვიდა და ცოტა სუპიც მიირთვა, რომელმაც მხნეობა შემატა.

ორი დღე გავიდა, სანამ ხმის ამოდებას შეძლებდა და უკვე მეშინოდა კიდეც, ტანჯვამ საღი გონება ხომ არ წართვა-მეთქი. როცა ცოტა მომჯობინდა, ჩემს კაიუტაში გადავაყვანინე და თვითონვე ვუვლიდი, რამდენადაც ამის საშუალებას ჩემი მოვალეობები მაძლევდა. არასდროს შევხვედრივარ მასზე უფრო საინტერესო ადამიანს. ჩვეულებრივ მისი მხერა ველური და თითქმის გიჟურიც კია, მაგრამ საკმარისია, ვინმემ ალერსიანად მიმართოს ან წვრილმანი სამსახური გაუწიოს, სახე მაშინვე უნათდება კეთილშობილური ღიმილით, თითქოს შინაგანი სხივი უნათებს. ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. თუმცა უმეტესწილად პირქუში და მოწყენილია, ხანდახან კბილებსაც კი აკრაჭუნებს, თითქოს აღარ შეუძლია თავისი მტანჯველი უღლის ატანა.

როცა ჩემი სტუმარი ცოტა მოგუნებდა, დიდი ძალისხმევით გამოჩენა დამჭირდა მეზღვაურების გადასარწმუნებლად, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, უცნობი გამოეკითხათ. ვერ დაუშვებდი, რომ ზედმეტი ცნობისმოყვარეობით გული შეეწუხებინათ მისთვის, როცა მისი სხეული და სული აშკარა სიმშვიდეს საჭიროებდა. ერთხელ ჩემმა თანაშემწემ მაინც ჰკითხა:

— როგორ გადალახეთ ასეთი გრძელი გზა ყინულზე, თანაც ასეთი უჩვეულო ეკიპაჟით?

უცნობს სახე მაშინვე მოექუფრა და უპასუხა:

— გაქცეულს მივლევდი.

— გაქცეულიც ასე მოგზაურობს?

— ჰო.

— მაშ გამოდის, ჩვენ ის დაგვინახავს. ერთი დღით ადრე, ვიდრე თქვენ ამოგიყვანდით, ყინულზე ძაღლებშებმული მარხილი შევნიშნეთ, მარხილში კი — ადამიანი.

ამან უცნობი დააინტერესა და უამრავი შეკითხვა დაგვისვა თუ რა მიმართულებით გაეშურა „დემონი“, როგორც მან უწოდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მარტონი დაურჩით, მითხრა:

— ეტყობა, თქვენი ცნობისწადილი გაუამძაფრე, როგორც, ალბათ, ამ ყოჩალი ადამიანებისა, მაგრამ მეტისმეტად დელიკატური ხარო, რომ დამკითხოთ.

— ბუნებრივია, თავხედური სისასტიკე იქნებოდა, შეკითხვებით მომებზრებინა თქვენთვის თავი.